თერჯოლის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭოს
სხდომის ოქმი N1

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

01 აპრილი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი ბარათაშვილი**
სხდომას ესწრებოდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები:

1.ნინო ჩხიკვაძე 2. დავით გოგბერაშვილი 3. ნინო დოლაკიძე 4. ბიძინა ბუცხრიკიძე 5. გრიგოლ გიორგაძე 6. რუსუდან კოვზირიძე 7. ელისო მურადაშილი 8.იზა მაგრაქველიძე 9. ქეთევან შეყრილაძე 10. თამარ ახვლედიანი 11. ნინო მახათაძე 12. ნატალია ასათიანი 13. დიანა ფოცხველაშვილი 14. მაია თორთლაძე 15. ქეთევან შეყრილაძე

სხდომას არ ესწრებოდა: **თემური ქოჩიაშვილი, ალექსანდრე ზანკალიანი, ბადრი ბუცხრიკიძე, შალვა ჭანკვეტაძე, გოჩა ვერულაშვილი, კახა ბუცხრიკიძე, ნინო ოქრუაძე,**

საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობა: 22 წევრი.
დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა: 15 წევრი.

სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ბარათაშვილმა** საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა და ცვლილებების შეტანა.**

/მომხს.ნ.დოლაკიძე/

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით

გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1.მოისმინეს: მომხსენებელმა ნინო დოლაკიძემ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს გააცნო 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი. დეტალურად განიხილა სამოქმედო გეგმის პროექტის მიზნები, ამოცანები და განსახორციელებელი საქმიანობა.

აზრი გამოთქვეს: **გიორგი ბარათაშვილმა, რუსუდან კოვზირიძემ, ქეთევან შეყრილაძემ;**
რუსუდან კოვზირიძემ: იმსჯელა გენდერული სტატისტიკის ინფორმაციის მოკრებისა და განახლების წესზე. მანვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით უნდა შეიკრიბოს მონაცემები მრავალშვილიანი დედების, სოციალურად დაუცველების და მეწარმე ქალების შესახებ. ინფორმაციის შეკრების დროს

ჩართული უნდა იყვნენ სხვადასხვა სამთავრობო უწყებები და ასევე თუ საჭირო გახდება მოწვეული იქნან არასამთავრობო ორგანიზაციები.

მანვე აღნიშნა, რომ გეგმის დამტკიცების შემდგომ საბჭოს წევრებიდან უნდა განისაზღვროს პირები რომლებიც პასუხისმგებელი იქნება გეგმით გათვალისწინებული ამოცანების და მიზნების შესრულებაზე. საუბარი შეეხო გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტის დაგეგმაზე და მის განხორციელებაზე.

ქეთევან შეყრილაძე: იმსჯელა გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხზე, კერძოდ: საბჭოს წევრებისათვის ტრენიგების ჩატარებას და გადამზადებას გენდერული ბიუჯეტირების მხრივ.

გიორგი ბარათაშვილმა: მოუწოდა წევრებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმდო გეგმის მხარდაჭერისაკენ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 15, წინააღმდეგი არცერთი;

გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილებები გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის პროექტში სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების შესაბამისად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი

ნინო დოლაკიძე